

შპს „ჯი ჯი ემ“

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური  
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს)  
ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

## სარჩევი

|                                      |   |
|--------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობა .....          | 2 |
| საქმიანობის შედეგები.....            | 3 |
| ფულადი სახსრების მოძრაობა .....      | 4 |
| კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება..... | 5 |

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:

|    |                                                                                            |    |
|----|--------------------------------------------------------------------------------------------|----|
| 1  | კომპანია და მისი ოპერაციები .....                                                          | 6  |
| 2  | კომპანიის საოპერაციო გარემო .....                                                          | 6  |
| 3  | მომზადების საფუძველი .....                                                                 | 7  |
| 4  | მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა.....                                        | 7  |
| 5  | კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო<br>პოლიტიკების გამოყენებისას..... | 10 |
| 6  | ძირითადი საშუალებები .....                                                                 | 11 |
| 7  | მარაგები .....                                                                             | 12 |
| 8  | ფული და ფულის ექვივალენტები .....                                                          | 12 |
| 9  | საწესდებო კაპიტალი.....                                                                    | 12 |
| 10 | გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები .....                                                   | 12 |
| 11 | ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები .....                                           | 13 |

შპს ჯი-ჯი-ემ

ს/ნ 406267392

2022 წლის წლიური ანგარიშგება

პერიოდი: 01.01.2022 - 31.12.2022

| ფინანსური მდგომარეობა                                                                       |                |                |                |
|---------------------------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| ფინანსური მდგომარეობა                                                                       | 31/12/2022     | 31/12/2021     | 31/12/2020     |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                       | 477730         | 99991          | 87438          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                  | 2623009        | 1375764        | 463386         |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                                 | 47634          | 0              | 0              |
| მარაგები: შუა პროდუქცია                                                                     | 88554          | 88554          | 0              |
| მარაგები: სხვა                                                                              | 394332         | 6558           | 0              |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                  | 390539         | 0              | 128046         |
| ძირითადი საშუალებები                                                                        | 2909331        | 709907         | 13713          |
| <b>სულ აქტივები</b>                                                                         | <b>6931129</b> | <b>2280774</b> | <b>692583</b>  |
| ვალდებულებები                                                                               |                |                |                |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                       | 5183202        | 1399814        | 1331389        |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                          | 69408          | 2739           | 0              |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                  | 0              | 60242          | 13365          |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 1268478        | 0              | 0              |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                                                    | <b>6521088</b> | <b>1462795</b> | <b>1344754</b> |
| საკუთარი კაპიტალი                                                                           |                |                |                |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 458232         | 458232         | 10918          |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                   | -48191         | 359747         | -663089        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                                                | <b>410041</b>  | <b>817979</b>  | <b>-652171</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>                                               | <b>6931129</b> | <b>2280774</b> | <b>692583</b>  |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                   | 3631259        | 1570867        | 678870         |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                              | 5252610        | 1462795        | 1344754        |



| საქმიანობის შედეგები                                                                         |            |            |
|----------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| საქმიანობის შედეგები                                                                         | 31/12/2022 | 31/12/2021 |
| ნეტო ამონაგები                                                                               | 8854684    | 3688229    |
| საქონლის გაყიდვიდან                                                                          | 54532      | 93127      |
| მომსახურების გაწევიდან                                                                       | 8800152    | 3595102    |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                                    | -3944637   | -829202    |
| საერთო მოგება                                                                                | 4910047    | 2859027    |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                                                   | 261421     | 160449     |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                                     | -5019597   | -1726097   |
| ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი                                                                    | -156151    | -45665     |
| საპროცენტო ხარჯი                                                                             | -17438     | 0          |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                                     | -386220    | -224878    |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                                                       | -5317985   | -1836191   |
| საოპერაციო მოგება                                                                            | -407938    | 1022836    |
| გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:                                                              |            |            |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან                     | -407938    | 1022836    |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                    | 0          | 0          |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                                                       | -407938    | 1022836    |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):                                                            |            |            |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                          | -407938    | 1022836    |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                          | 817979     | -652171    |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'სა | 0          | 0          |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                               | 0          | 0          |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                                        | 0          | 0          |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                                    | 0          | 447314     |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                               | 410041     | 817979     |



| ფულადი სახსრების მოძრაობა                                                               |            |            |
|-----------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| ფულადი სახსრების მოძრაობა                                                               | 31/12/2022 | 31/12/2021 |
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფული | 377739     | 12553      |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა  | 0          | 0          |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულა   | 0          | 0          |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)                                                      | 377739     | 12553      |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                  | 0          | 0          |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                 | 99991      | 87438      |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                      | 477730     | 99991      |

შპს ჯი-ჯი-ემ - ის დირექტორი: ჟიანგ იხუეი



კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

|                         | საწესდებო<br>კაპიტალი | დაგროვილი მოგება | სულ       |
|-------------------------|-----------------------|------------------|-----------|
| ნაშთი 31 იანვარი 2022   | 458 231               | 359 747          | 817 979   |
| წლიური ზარალი           | -                     | (407 938)        | (407 938) |
| კაპიტალის ცვლილება      | -                     | -                |           |
| ნაშთი 31 დეკემბერი 2022 | 458 231               | 48 191           | 410 041   |

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:

### **1. კომპანია და მისი ოპერაციები**

შპს „ჯი-ჯი-ემ“ (კომპანია) არის 2018 წლის 24 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შესაბამისი სარეგისტრაციო ნომრით - 406267392.

კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების სხვა დარგების დამხმარე მომსახურება.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100 % წილის მფლობელი მესაკუთრე პარტნიორი იყო ჟიანგ გოუ (E66856803 / ჩინეთის რესპუბლიკა).

2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100 % წილის მფლობელი მესაკუთრე პარტნიორი იყო ჟიანგ გოუ (E66856803 / ჩინეთის რესპუბლიკა).

კომპანიის ოფისისა და საქმიანობის ადგილის იურიდიული მისამართი გახლავთ საქართველო, ქ. თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, წინამძღვრიშვილის ქუჩა N 94.

შპს ჯი-ჯი-ემ -ის საქმიანობის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საბანკო სესხი და კომპანიის კაპიტალი.

კომპანიის დირექტორია ჟიანგ იხუეი (E50045625 / ჩინეთის რესპუბლიკა).

### **2. კომპანიის საოპერაციო გარემო**

შპს ჯი-ჯი-ემ -ის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. ქართული ბაზარი ხასიათდება შედარებით მაღალი ინფლაციისა და მაღალი საპროცენტო განაკვეთების არსებობით.

კომპანიის ეკონომიკური წინსვლა გარკვეულწილად დამოკიდებულია მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ეფექტურ მუშაობაზე.

კომპანიის მენეჯმენტი მაქსიმალურად ცდილობს კომპანიის ბიზნეს მიმართულების მდგრადობისა და განვითარების ხელშესაწყობას.

### **3. მომზადების საფუძველი**

#### შესაბამისობა:

მოცემული დოკუმენტით წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

#### შეფასება და აღრიცხვა:

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

### **4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა**

#### ვალუტის კონვერტაცია:

კომპანიის ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა გახლავთ საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლარი“).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები ფუნქციონალურ ვალუტაში კონვერტირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

#### ფული და ფულის ეკვივალენტები:

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და კომპანიის საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს.

#### სავაჭრო მოთხოვნები:

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება ტრანზაქციის ფასით ლარში.

#### გადახდილი ავანსები:

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები გრძელვადიანად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც მასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდეგ ან მაშინ, როდესაც ის დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესყიდვაში გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვებისას, როდესაც სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური ბენეფიტების მიმღები იქნება კომპანია. სხვა გადახდილი ავანსები მოგებაში ან ზარალში ჩამოიწერება მათთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღების შემდეგ. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლის ან მომსახურების მიღება არ მოხდება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და გაუფასურების შესაბამისი ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

### მარაგები:

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე.

### ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა გამოკლებით. შემდგომი ხარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება როგორც დამოუკიდებელი აქტივი, იმის მიხედვით, თუ რა არის მართებული, მხოლოდ მაშინ, როდესაც სავარაუდოა, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება კომპანია და ერთეულის ღირებულების სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

მცირემასშტაბიანი რემონტისა და ყოველდღიური შენახვის ხარჯები ასეთად აღირიცხება გაწევის მომენტში. ძირითადი საშუალებების მსხვილი ნაწილებისა თუ კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და გამოცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

### ცვეთა:

მიწის გარდა სხვა აქტივებს ცვეთა ისე ერიცხება, რომ აქტივების ღირებულებისა და მათი ნარჩენი ღირებულების სხვაობა წრფივი მეთოდით გადანაწილდეს მოსალოდნელ სარგებლიანობის ვადაზე.

### სარგებლიანობის მოსალოდნელი ვადები:

სარგებლიანობის ვადა, წელი

|                                      |    |
|--------------------------------------|----|
| მანქანა-დანადგარები და მძიმე ტექნიკა | 10 |
| საოფისე ტექნიკა და ავეჯი             | 5  |
| სატრანსპორტო საშუალებები             | 5  |
| ნაგებობა /კონსტრუქცია                | 5  |
| სხვა                                 | 5  |

აქტივების ნარჩენი ღირებულებები, სარგებლიანობის ვადები და ცვეთის მეთოდები გადაიხედება და კორექტირდება თუკი არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილებების არსებობის ნიშნები ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

რეალიზაციით გამოწვეული მოგება და ზარალი დგინდება შემოსავლის საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და მთლიანი შემოსავლის ანგარიშებაში აღიარდება „სხვა შემოსავალსა“ და „სხვა საოპერაციო ხარჯებში“.

სავაჭრო და სხვა გადასახდელები:

სავაჭრო გადასახდელები აღირიცხება კონტრაგენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებისას.

აღებული სესხები:

აღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გაწეული ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით; შემდგომში კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

საწესდებო კაპიტალი:

საწესდებო კაპიტალის ოდენობას ადგენენ კომპანიის აქციონერები. კომპანიის საწესდებო კაპიტალის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის აქციონერთა გადაწყვეტილებით.

დივიდენდები:

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება მათი გამოცხადებისა და დამტკიცების პერიოდში.

მოგების გადასახადი:

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

დივიდენდების განაწილებით წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა გადახდის დღის ან პერიოდის მიუხედავად. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიშობოდა დივიდენდების გადახდის შემთხვევაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული არ არის.

გარდა დივიდენდების განაწილებისა, გადასახადი აგრეთვე ერიცხება ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც გაწეულია არა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით, აქტივების მიწოდებას ან მომსახურების გაწევას, აგრეთვე წარმომადგენლობით ხარჯებს, რომლებიც აკარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ):

შპს ჯი-ჯი-ემ ის საქმიანობა იბეგრება დღგ-ით და არ გააჩნია ჩათვლის უფლებით / გარეშე გათავისუფლებული ბრუნვა. დღგ-ს ჩათვლა ხდება შესაბამისი დოკუმენტაციის მიღების საფუძველზე (ანგარიშ ფაქტურა, საბაჟო დეკლარაცია).

შემოსავლის აღიარება:

შემოსავალი აღიარდება, კომპანიის მიერ საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებისას. შემოსავალი აღიარდება, თუ სავარაუდოა, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შემოსავლის შეფასება სარწმუნოდაა შესაძლებელი, იმის მიუხედავად, თუ როდის ხდება გადახდა.

თანამშრომელთა ანაზღაურება:

ხელფასები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და შვებულება ავადმყოფობის გამო.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ნებისმიერი ცვლილება გამოშვების შემდეგ მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტის თანხმობას, რომელმაც დაამტკიცა ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად.

**5. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას**

პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ძირითადად ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას.

ძირითადი საშუალებების ერთეულის სარგებლიანობის ვადის დადგენა მენეჯმენტის შეფასებით ხორციელდება მსგავს აქტივებზე გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სარგებლიანობის ვადის დადგენისას მენეჯმენტი მხედველობაში იღებს ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთასა და მის საოპერაციო, ფიზიკურ გარემოს. ნებისმიერი პირობის ან პროგნოზის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

კონკრეტული შედეგები საპროგნოზოსგან შეიძლება განსხვავდებოდეს და კომპანიის პროგნოზი შეიძლება მომავალში დაკორექტირდეს დადებითისკენ ან უარყოფითისკენ.

## 6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებში მოძრაობა იყო შემდეგი:

|                                                       | მანქანა<br>დნადგარები და<br>მძიმე ტექნიკა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | ნაგებობა/<br>კონსტრუქცია | საოფისე<br>ტექნიკა და<br>ავიჯი | სხვა             | სულ                 |
|-------------------------------------------------------|-------------------------------------------|-----------------------------|--------------------------|--------------------------------|------------------|---------------------|
| ღირებულება                                            | 724 572,00                                | 28 044,00                   |                          |                                |                  | 752 616,00          |
| დაგროვილი<br>ცვეთა                                    | - 39 345,00                               | - 3 365,00                  |                          |                                |                  | - 42 710,00         |
| <b>საბალანსო<br/>ღირებულება 31<br/>დეკემბერი 2021</b> | <b>685 227,00</b>                         | <b>24 679,00</b>            | <b>-</b>                 | <b>-</b>                       |                  | <b>709 906,00</b>   |
| შეძენა                                                | 2 140 550,00                              | 148 023,00                  | 35 603,00                | 17 210,00                      | 14 191,00        | 2 355 577,00        |
| გაყიდვა                                               |                                           |                             |                          |                                |                  | -                   |
| ცვეთის ხარჯი                                          | - 126 730,00                              | - 22 610,00                 | - 3 248,00               | - 2 273,00                     | - 1 291,00       | - 156 152,00        |
| <b>საბალანსო<br/>ღირებულება 31<br/>დეკემბერი 2022</b> | <b>2 699 047,00</b>                       | <b>150 092,00</b>           | <b>32 355,00</b>         | <b>14 937,00</b>               | <b>12 900,00</b> | <b>2 909 331,00</b> |
| ღირებულება                                            | 2 865 122,00                              | 176 067,00                  | 35 603,00                | 17 210,00                      | 14 191,00        | 3 108 193,00        |
| დაგროვილი<br>ცვეთა                                    | - 166 075,00                              | - 25 975,00                 | - 3 248,00               | - 2 273,00                     | - 1 291,00       | - 198 862,00        |
| <b>საბალანსო<br/>ღირებულება 31<br/>დეკემბერი 2022</b> | <b>2 699 047,00</b>                       | <b>150 092,00</b>           | <b>32 355,00</b>         | <b>14 937,00</b>               | <b>12 900,00</b> | <b>2 909 331,00</b> |

## 7. მარაგები

|                                           | 2022    | 2021   |
|-------------------------------------------|---------|--------|
| სხვა სასაქონლო<br>მატერიალური<br>მარაგები | 482 886 | 95 112 |

## 8. ფული და ფულის ეკვივალენტი

|                                          | 2021   | 2022    |
|------------------------------------------|--------|---------|
| ნაღდი ფული სალაროში                      | -      | -       |
| ფული საბანკო ანგარიშებზე ლარში           | 90 936 | 317 688 |
| ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში | 9 055  | 160 042 |
| სულ ფული და ფულის ეკვივალენტი            | 99 991 | 477 730 |

## 9. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის საწესდებო დოკუმენტაციაში მითითებულ კაპიტალის ოდენობას.

## 10. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

| სესხები                       | ვალუტა | 2022       | 2021 |
|-------------------------------|--------|------------|------|
| არადაკავშირებული<br>მხარისგან |        |            |      |
| სს თიბისი ბანკი               | USD    | 469 459,00 | -    |

**11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები**

|                                                       | 2022           | 2021           |
|-------------------------------------------------------|----------------|----------------|
| ოფისის იჯარა                                          | 64,750         | 41,250         |
| სხვა საგადასახადო ხარჯი                               | 8,662          | -              |
| საბანკო მომსახურება                                   | 13,341         | 4,965          |
| ბუღალტრული მომსახურება                                | 39,249         | 30,895         |
| წარმომადგენლობითი ხარჯი                               | 1,917          | -              |
| კონვერტაციის ხარჯი                                    | 32,067         | 15,609         |
| გადაფასების ზარალი                                    | 177,092        | 132,159        |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი                            | 49,142         | -              |
| <b>სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები</b> | <b>386,220</b> | <b>224,878</b> |